

კონსტანტინე გამსახურდია: მოდერნიზმიდან სოცრეალიზმამდე

ფიქრია დარციმელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მონიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფიქრია დარციმელია

24.06.2021

აბსტრაქტი

კონსტანტინე გამსახურდია, ქართულ მწერლობაში ევროპული მოდერნიზმის ერთ-ერთი მთავარი ადეპტი, საბჭოთა რეჟიმის მოთხოვნების შესაბამისად ისევე ცვლის მის მიერ 1910-იან წლებშივე არჩეულ კულტურულ სტილს, როგორც მისი თაობის ყველა მოდერნისტი საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მკაცრად იყო დოგმატირებული, გაწერილი იყო ტექსტებში როგორი პერსონაჟები უნდა ყოფილიყვნენ პოპულარიზებული; აუცილებელი იყო რელიგიური სახეებისა თუ მოტივებისგან დაცილილი ყოფილიყო ტექსტი ან ასეთ სიუჟეტებს ირონიული ხასიათი ჰქონდა. ნებისმიერ ტექსტს ხელი უნდა შეეწყო სოციალიზმის გავრცელებისთვის.

ბუნებრივია მწერალთა სივრცეში აღმოჩნდნენ ამ მეთოდის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. მოწინააღმდეგეები მოხსენიებულნი იყვნენ როგორც რეაქციული ძალის წარმომადგენლები, ამიტომ მათ წინააღმდეგ მიმდინარეობდა რეპრესიები, დაშინება, დახვრეტა.

სოციალისტურმა რეალიზმა დაასრულა მანამდე არსებული ლიტერატურული მიმდინარეობა - მოდერნიზმი.

ნაშრომი ეხება მწერლის შემოქმედებით ტრანსფორმაციას მოდერნიზმისან სოციალისტურ რეალიზმამდე. კვლევის მიზანია კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე დაკვირვება სამი რომანის ფარგლებში - „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“ - და განსაზღვრა იმისა, შეიცვალა თუ არა ავტორმა დამოკიდებულება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისადმი, ანუ დიქრონულ

ჭრილში მისი, როგორც ავტორის ცვლილება მოდერნისტი მწერლიდან
სოციალისტური რეალიზმის მწერლობამდე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოდერნიზმი, სოციალისტური რეალიზმი,
კონსტანტინე გამსახურდია, ქართული ლიტერატურა.

Abstract

Konstantine Gamsakhurdia, one of the main adepts of European modernism in Georgian Literature, like almost every modernist writer of his generation in Georgia and all over the USSR, is forced to change the cultural style of his initial choice, and switch to the style of Socialist Realism, which is enforced by the Soviet regime.

The method of Social realism was dogmatized. It was already specified what kinds of characters must stories contain. The texts must be free from any types of religious motives or such kinds of texts must be ironic. Any kind of text has to encourage the spread of Socialism.

It is natural that some writers have appeared who were supporting this method. Opposers were considered as representatives of reactive power and because of this fact repressions, shootings and threatening were used against them.

Social realism has destroyed modernism, which had been the literal movement existed before.

Modernism is a movement created with rejection of realism. Modernism has rejected traditional understanding of various issues and it has considered experiments as a creative method.

The aim of this study is to observe the written works of K.Gamsakhurdia in the framework of three novels: “The Smile of Dionysus”, “Kidnapping the Moon”, “Flowering of Vine” and identify whether author has changed the attitude towards Soviet Union regime. This study shows the transformation of author from modernist writer to the writer of Social realism.

This work presents the critical analysis of Kostantine Gamsakhurdia’s novels. It also shows the opinions of Kostantine Gamsakhurdia before revolution and after introducing Soviet Union written work.

Key words: Modernism, Social Realism, Georgian Literature, Konstantine Gamsakhurdia